ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4598464

ნომერი: AR1695158

თარიღი : 17.07.2019

გაცემის თარიღი : 22.07.2019

გაცნობის თარიღი : 24.07.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , ჰიპერმარკეტ "გუდვილი"-ს მიმდებარედ, (ნაკვეთი 36/148);

დამკვეთი-განმცხადებელი
- დათო ყიფშიძე პ/ნ 54001019293
- ჭიათურა ს. ნავარძეთი მე–17 ქ. N 1

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. დიდი დიღომი კოდი: 405132663

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 მაისის №4502465 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 17 ივლისს NAR1695158 განცხადებით მომართა დათო ყიფშიძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 მაისის №4502465 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 17 მაისის №4502465 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, ჰიპერმარკეტ "გუდვილი"-ს მიმდებარედ, (ნაკვეთი 36/148) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.036.769), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2019 წლის 29 მაისის №4520872 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 29 მაისიდან 2021 წლის 29 მაისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 17 მაისის №4502465 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საზაფხულო ფართობი 129.6 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 144.6 კვ.მ, საერთო ფართობი 2715.2 კვ.მ-ის ნაცვლად 2730.2 კვ.მ.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხ. რეგისტრაცია – N882019549050 მომზადების თარიღი: 15/07/2019 09:34:57) მიხედვით, N01.72.14.036.769 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „დიდი დიღომი“ (405132663). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია - B16173161, მომზადების თარიღი: 21/12/2016 11:09:18), შპს „დიდი დიღომი“-ს (405132663) დირექტორს წარმოადგენს დათო ყიფშიძე (პ/ნ: 54001019293).
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. აქედან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს 2019 წლის 17 მაისის №4502465 ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 მაისის №4502465 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი: 144.6 კვ.მ, საერთო ფართობი: 2730.2 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 მაისის №4502465 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 მაისის №4502465 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.